

კარი ერთოსტელი

კოლხეთი
ფსალმენი

100-ტომეული



გამომცემლობა „კნივერსალი“
თბილისი 2020

საქართველოს მწერალთა, მეცნიერთა და
საზოგადო მოღვაწთა საერთაშორისო აკადემია
„ეპლიუს-საქართველო“

საქართველოს მროველი აკადემია

კუსა ექისტელი



კოლეური ფსალმუნები

0169 ულეათა კრებული
100 ფომად


2020



საქართველოს მწერალთა, მეცნიერთა და
საზოგადო მოღვაწეთა საერთაშორისო აკადემია
„ეპლიუს-საქართველო“

საქართველოს ეროვნული აკადემია

კუკა ეჭილელი



კოლეური
ფსალმუნები

ტომი 70

2020



მთ. რედაქტორი

ოთარ პიპილაშვილი

ტექნიკურ მეცნიერებათა
დოქტორი, საქართველოს
მწერალთა, მეცნიერთა და
საზოგადო მოღვაწეთა
საერთაშორისო აკადემია
„ქალდეა-საქართველო“-ს
აკადემიკოსი

© ვაჟა ეგრისელი, 2020

გამომცემლობა „ენივერსალი“, 2020

თბილისი, 0186, ა. აოლიბაოვსაავას №4, ტელ: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com

ISBN 978-9941-26-572-3 (ყველა ტომისთვის)

ISBN 978-9941-26-877-9 (70 ტომი)



* * *

გაშა ებრისელი დაიგადა ხობის რაიონის სოფელ ხორბაში. განათლებით იურისტი და ინიციერია. 1983 წელს დაამთავრა მოსკოვის მასიმ გორგის სახელობის მსოფლიო ლიტერატურის ინსტუტი. ორმოცამდე ზოგნის აპტორია. თარგმნილი და ცალკე ზოგნებად აქვს გამოცემული საზღვარგარეთის ძველების მომცემის მიერ ანთოლოგია – „ოქროს მტკვანი“, ალექსანდრა სტირნება-კოზლოვას მოწოდებულია – „ბრიუსოველი – ალიო მაშავილი“, ვერდორ ტიუჩხევის ლექსები და სხვა.

1993 წელს გამოვიდა კოეფის ათასგვერდიანი, ორი ათასამდე ლექსის მოცემილი გრიფოვებული – „იმპენ ნაიობლი“ ხოლო 2002 წელს საქართველოს რესაუგლიკის გამოცემის „მოლოდინისა“ გამოსცემის ვაშა ებრისელის „კოლხური შასლაუების“-ს ხუთომეტელის ათასზე მეტ გვერდიანი პირებით ფომი, რომელმაც ორიათასზე გაუთი კოეფილი მშნილება იყო დაეჭირილი. 2006, 2007, 2008 წლებში გამოვიდა კოეფის მეორე, მესამე, მეორეს ათას-ათას გვერდიანი ტომეულები, ხოლო 2011 წელს დაიგეჭდა კოეფის მესამე, 1575 გვერდიანი ტომი, რომელმაც 2500-ზე მეტი ლექსია დასტაბეჭდილი.

გაშა ებრისელის შემოქმედებაზე ორმოცამდე მოწოდრაზია დაწერილი და ცალკე ზოგნებად გამოცემული.

გაშა ებრისელი საქართველოს და მოცემის რამდენიმე მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრია... 2016 წლიდან საქართველოს მეცნიერთა, მეცნიერთა და საზოგადო მოწვავეთა საერთაშორისო აკადემია „ქალღეა-საქართველო“-ზ და საქართველოს ეროვნულია აკადემია დაიწყეს ქართული კოეფის რაინდის, საქართველოს მეცნიერთა კავშირის, ვაჟა-ფშაველასა და გალაკტიონ ტაბიდის არენიების ლაურეატის, ღირსების ორდენის კავალერის, ქართული კულტურის ღმერანის გედლისა და „დიონსკურია 2005“-ის, შვაიცარიის იმპრის ვარსკვლავისა და მეცნიერების ღრმენის მფლობელის, სახალხო კოეფის, საქართველოს მეცნიერთა მეცნიერთა და საზოგადო მოწვავეთა საერთაშორისო აკადემია „ქალღეა-საქართველო“-ს პრეზიდენტის, საქართველოს ეროვნული და ვაზისის საერთ-სამცნეომრო აკადემიის ვიცე-პრეზიდენტის,



ავხანეთის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი-აკადემიკოსის, საქართველოს განათლებისა და სამართველოს ეროვნულ და სოციალურ ურთიერთობებითა“ „ვარძის“, „აიას“ აკადემიკის ნადვილი წევრის, ჩატბლის, უზბღილის, ხობის, იყალთოს სა-აატიო მოქალაქის, ათას-ათას ხუთასხე მეტბვერდიანი ტო-მეუღების „კოლეჯი შასლაშვების“ (ოცდაათიათასხე მეტი ლექსი) აპტორის – ვაჟა უბრისების ახალი, ოჩული „კოლეჯ-რი შასლაშვების“ (ოცდაათომობულის გამოცემა. გამომცემ-ლობა „უნივერსალმა“ გამოსცა კოექტის ხუთასხე მეტბვერდი-ანი, უბადლეს კოლიგრაფიულ ღონისე შესრულებული ტომები. 2019 წლის მიურულს გამოვიდა „კოლეჯი შასლაშვების“-ს 100-ტომეულის პირველი ათი ტომი. დანარჩენა 90 ტომია (უკლებლივ) მზის სინათლე იხილა 2020 წელს. გამსაღებულია დასახურდად ვაჟა უბრისების კლასისური კოექტის ათომობუ-ლი, აბრეტვე, კოექტისადმი მიძღვნილი ქართველი და უცხოე-ლი კოექტების, მეცნიერებისა და საზოგადო მოღვაწეების (ათასამდე აპტორი) წიგნების (მონოგრაფიების), სტატიების, წერილებისა და ლექსების ოცნებებული და სხვ.

2020 წლის 16 ოქტომბერს გაიგაროა ვაზისის (კოლე-ტის) საერო-სამეცნიერო აკადემიის საერთო კრება, რომელ-მაც პრეზიდენტის ვაკანტურ ადგილზე და კანკისყრით ერთ-ხეად აირჩია აგავე კადემიის 30ხვ-კარეზილენტი, ცხობილი კოექტი, ქართული კოექტის რაინდი, ქართული კულტურის დესანტი, „კოლეჯი შასლაშვების“ 100-ტომეულის აპტორი, იურიდიულ მეცნიერებათა საპატიო დოკტორი, აროვესორი ვაჟა უბრისები.

გახ. „საქართველოს რესპუბლიკა“,
2020 წლის 22 ოქტომბერი

კყავს მეუღლე – გილდა სეხიშვილი (მუხრალი) და ორი ვაქიტვილი ზრუბი და დაჩი (ორივა იურისტი) და სამი მკლიშვილი – ვაჟა, ნატა და ლილე. იგი – მეცხევ შვილია (შვილი ქმა და ორი და).





პოეტის ასტომული „კოსმიური პოეზია“

ვაშა ებრისელის შესახებ დიდი ხნის ფინაც ვწერდი: „რქს-თველს აკაპის და ბალაპტიონს, ღმირთი არ მიწვენს ორგ შება-დარო. ბავხარ ზღვის ღმლვას და ნაზ სირსაც, როგ აზანზარებს ჩუმად სამყაროს...“

ამჟამად, როცა პოეტის ზდაპრული კოსმიური „შსალმუნების“ ჯერ არნახული, ჯერ არ გაგონილი, ხუთასუმ, ათასებ, ათას ხუთასუმ მიტგვერდიანი „პაჭაღლო“, ოქროს ყდაში ჩასული, ოცდათოტომეული ზავითხე, ჩამი ძველი აზრი რადიკალურად უარვებავი და... დღეს ქვეყნის ბასაბონად ხბამაღლა ვაცხადებ: ვა-შა მბრისელი არც რუსთაველს, არც აკაპის, არც ბალაპტიონს და... არც მსოფლიოს, არც ძველსა და არც თანამედროვე კოეცს არა ჰპაპს...“

ის კრეისტურიული კოლხეთის „შუტაია“, არმისის ჰალაში მდგარი მუხაა, რომელსაც ოქროს საჯმისი ეკიდა (რომელიც გერმენმა პი არა, ჰელაზგა იაზონება მედვეასთან ერთად როგ გაიტაცა).

დიახ, კოლხეთის მითიური ხელმოწის, აიეტის ხელი დარბელი, ის ურნეულ მოდარაჯე მუხაა, რომლის ცადავადილ ტო-ტეპები, კოეჭმა ოქროს საჯმისის „ბონის“ მაბიერ თავისი „კოლ-ხერი შსალმუნების“ იგავითურვლომელი ასტომული დაკიდა და ბააცოცხლა, მიძინებული, დავიუყვის ნაცარიმიყრილი, არა მარტო კოლხეთის, არამედ იმდონინდელი სამყაროს ოცდათოთხმეტებ მეტ საუკუნვანი მითებით, ლეგენდებითა და საოცენებით დახუნდული ისტორია, რაც კომერციიდან მოყოლებული (ძვ. წ. აღ. VIII საუკუნე) არც ერთი ქვეყნის, არც ერთ კალმოსანს არ გაუკითხავია.

100-ტომეული... ქვეყნის გარენის დღიდან, XXI საუკუნის რის-რაქამდე, ასეთი (5-6 სტრიქონიანი) ფილოსოფიური, რელიგიური, მითოლოგიური, ყოვლისმოცველი კომია, ჯერ-ჯერობით არავის შეუძლია დედამიწაზე...

კოსმოსში კ...

დაგრდოს:

„აიეტის ზდაპრულ კოლხეთის, მტრობისა და სიძულვილის გველუშავი მისწოდია... მათ იციან იქ იღვება დედამიწის ისტორია“.

გულაზ ხარაიზვილი

კოეჭი, ბალაპტიონ ტაგიძის არევის დაურიატი,
ჯემბერ ლეხაგას სახელობის მეცნიერებათა
სამრთაშორისო აკადემიის არმზილენტი



„გულიგად შესძი ყოველ შებას, ყოველ ძაბხას.“

ა. პუშკინი

გთავაზობთ, ამონარიდებს ვაჟა ეგრისელის შემოქმედებისადმი მიძღვნილი ათასამდე ქართველ და უცხოელ მწერალთა, მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა წიგნებიდან, სტატიებიდან, წერილებიდან:

ვაჟა პირველი – ფშაველა, ვაჟა მეორე – ეგრისელი, ვაჟა მესამე – ყუბუსიძე, ვაჟა მეოთხე – ჩორდელი, ვაჟა მეხუთე – ხორნაული”... „რია-რია“ 1993

სერგო წურწუმია – გენერალ-ლეიტენანტი, აკადემიკოსი: „... ვაჟა ეგრისელი პლანეტის პოეტია და ამიტომ მსოფლიო ასტრონომთა ასოციაციის 2007 წლის 15 მაისის გადაწყვეტილებით, როგორც ასტროლატრი პოეტის, ვაჟა ეგრისელის სახელი ეწოდა ახალ აღმზენილ ვარსკვლავს”...

ზაურ გოგოლაძე – ისტორიკოსი, პროფესორი: „... ვაჟა ეგრისელი დიდი ქართველი პოეტის გარდა, დიდი საზოგადო მოღვაწეცაა”...

ზურაბ ბუგია – ბიოლოგი, პროფესორი: „... დღევანდელ საქართველოში არა მგონია იყოს მეორე ქართვე-



ლი პოეტი, ვისაც ვაჟა ეგრისელივით ემდეროს პრეისტორიულ და ისტორიულ კოლხეთისთვის, ე. ი. საქართველოსთვის”...

შალვა სიჭინავა – ფაზისის საერო აკადემიის ნამდვილი წევრი: “... უაფხაზეთობა მე ვაჟა ეგრისელის პოეზიამ, განსაკუთრებით „კოლხურმა ფსალმუნებმა გადამატანინებ”...

ზურაბ აბრალავა – ფაზისის აკადემიის ნამდვილი წევრი, მწერალი, პუბლიცისტი: „... ვაჟა ეგრისელი კოლხეთის სულიერების ციხის ქონგურზე მეციხოვნედ მდგარი, დიდი ქართველი პოეტია”...

შარაბ ხოჭოლავა – მხატვარი, სართველოს, მწერალთა, მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა აკადემია „ქალდეა”-ს აკადემიკოსი) „... რომ შეიძლებოდეს, ვაჟა ეგრისელის საოცარ ფერწერულ ლექსებს „დავხატავდი,” მზის ჩარჩოში ჩაგსვამდი და ქართულ ცაზე ჩამოვკიდებდი...”

ველოდი მირცხულავა – ისტორიკოსი, აკადემია „ქალდეა”-ს ნამდვილი წევრი: „... როგორც დიდი ივანე ჯავახიშვილი წერს: გვარი – მირცხულავა „მურიცხებიდან“ – ვარსკვლავებიდან მოდის და დედის გენმა – ვაჟა ეგრისელი როგორც დიდი პოეტი ცის საიდუმლო-ებებს აზიარა...”

გახტანგ თორაძე – პროფესორი, აკადემიკოსი: „...



პრეისტორიული, ქრისტემდელი მადლი და რწმენა მეუფობს ვაჟა ეგრისელის ღვთიურ პოეზიაში, რადგან „მის შექმნაში თვითონ ქრისტეს, როგორც მამის თანაარს, თავისი წვლილი ჰქონდა შეტანილი...”

გია ქვაშილავა – მკაფევარი, პროფესორი: „... ვაჟა ეგრისელის ფიქრმიუწვდებელი შემოქმედება, ისეთივე საოცრებაა, როგორც ოთხიათასი წლის წინანდელი ფესტოსის დისკოზე „კოლხური ოქროდამწერლობით „ამოტვიფრული ქართული საგალობელი...”

ნარგიზ გოგია – ფილოლოგი, ფაზისის აკადემიის ნამდვილი წევრი: „... არა მარტო საქართველოს, დიდი ჩინეთის იმპერიასაც ეყოფოდა საამაყოდ ვაჟა ეგრისელის შემოქმედება (50 000ლექსი)...”

გულიკო გოგიტიძე – ფრანგული ენის პედაგოგი, ფაზისის საერო აკადემიის ნამდვილი წევრი: „... მიხარია, რომ დიდი მოწონება ხვდა წილად საფრანგეთში ჩემი შვილის, ბაჩუკი ჩაბრაძის მიერ თარგმნილ ვაჟა ეგრისელის ბრწყინვალე პოეზიას. ”

მერი აბრამია – მწერალი, პუბლიცისტი: „... ბედნიერი ვარ.

ისე, როგორც დიდმა ილიამ ვაჟა-ფშაველას პირველი ლექსი დაბეჭდა „ივერიაში,” ასევე მე, ვაჟა ეგრისელის პირველი ლექსი დავსტამბე ხობის რაიონულ გაზეთ „სოციალიზმის მშენებელში...”



საშა არჩაია – მათემატიკოსი, ფაზისის საერო აკადემიის ნამდვილი წევრი: „... ვაუა ეგრისელის დიდი პოეტობა არაა გასაკვირი, რადგანაც ის დიდი ქართველი პოეტის ალიო მაშაშვილის დისტულია...”

შოთა ხოჭავა-ეგრიპირელი – პოეტი, საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი: „... როგორც ბერძნები ჰეროდოტეს ისტორიის მამას უწოდებენ, ასევე მე, ოთხმოცდაათს გადაცილებული – ჩემს და პოეზიის მამას ვეძახი – ვაუა ეგრისელს...”

მიხო მორჩილაძე – მწერალი: „... მოსკოვში, ლიტერატურის ინსიტუტში სწავლის პერიოდში, ვაუა ეგრისელს, როგორც დიდ პოეტს და დიდ პიროვნებას უამრავი პატივისმცემელი და თაყვანისმცემელი ჰყავდა მსოფლიოს სხვადახსნა მწერლებს შორის...”

ლევან მხეიძე – პოეტი: „... მეხივითაა ვაუა ეგრისელის კლასიკური ლექსები...”

ჯემალ მსხილაძე – პროფესორი: „... ვაუა ეგრისელმა განავითარა და გაამდიდრა დიდი სულიერი წინაპრების: დავით გურამიშვილის, გრიგოლ ორბელიანის, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ვაუა-ფშაველას და გალაკტიონ ტაბიძის მიერ დამკიდრებული წარუვალი ტრადიციები. ...ეგრისელის შემოქმედება დიდმნიშვნელოვანი ეტაპია მრავალსაუკუნოვანი, ფუძემაგარი და ძირდალოცვილი ქართული პოეზიის ისტორიაში...”



აკაკი ნარგიზიშვილი – პროფესორი, აკადემიკოსი: „... ეგრისელის ლექსები, როგორც მუზათა სიმფონია, ტრიიალია სიცოცხლისა, საგალობელია უკვდავების და ამქვეყნიური სამოთხისა. ისინი გვაყვარებენ სამყაროს „ძალითა მის ძლიერითა.”

მისი ლექსები პოეზიის შედევრებია...”

აკაკი ნაროვაშვილი – ისტორიკოსი: „... როგორც მწერალმა ლევან სანიკიძემ (როგორც არაგი), გაამხატვრულა საქართველოს გმირული ისტორიული წარსული, ასევე ვაჟა ეგრისელმა პოეტური ფუნჯით „დახატა” წინაპართა უკვდავი სახეები...”

ნევენა ნიკოლოვა: ბულგარეთი (პოეტი) „... როცა ვაჟა ეგრისელის წიგნს ავიღებ ხელში, ყოველთვის დიდი პეტრე იძერი მომაგონდება ხოლმე, რომელიც ქათქათა ტაძრებს აგებდა დვთის სადიდებლად...“

ვაჟა ეგრისელი კი ლოცვისებურ ლექსებს აღუპლენს უფალს უნეტარესად...”

ლადო ალფენიძე – მწერალი: „... მრავალგზის მითებამს და ისევ ვიმეორებ: ვაჟა ეგრისელის შემოქმედებას კარგად არ ვიცნობდი თურმე. მისმა „კოლხურმა ფსალმუნებმა” ხელისხულზე გადამიშალა უძველესი, პრეისტორიული კოლხეთი. გავეცანი არამარტო კოლხეთს, კოლხ ხალხს, არამედ მთელ კოლხურ მითოლოგიურ სამყაროს: „ჰიპერიონი, იაპეტი, (არა ნოეს იაფეტი), ატლანტი, ჰელიოსი, აიეტი, ფაეტონი, აქციუსი,



კირკე, პასიფაე, მედეა, აფსირტე. წარმართული მსოფლიოს „ღვთის ენით” – იეროგლიფებით დაწერილი ეგვიპტური „მკვდართა წიგნი.” ქართული (კოლხური), „კვირბები”; „კოლხუაგანის” მითოსური საწყისები, ასტრონომია, ასტროლოგია, ღვთისმეტყველება, კოლხუთი, საბერძნები, ეგვიპტე, რომი, ფინიკია, ეტრურია, ატლანტიდა, ატლანტის მიღმა მაიას ტომი, დედამიწა, კოსმოსი, აი, ვაჟა ეგრისელის კოსმიური – „კოლხური ფსალმუნების” მოკლე ბიოგრაფიული ჯაჭვი...”

ეს წავა მესამე ტომის უკანა გარეპანზე

ჯემალ აფციაური – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი: „.... ვაჟა ეგრისელის უდიდესი პოეზია – სახისმეტყველებითი ე. წ. მეტაფორულენოვანი ენციკლოპედიაა...”

ეთერ არაბული – ფილოლოგი, ლოგოფეტი: „.... მწერლები და მეცნიერები ვაჟა ეგრისელს, სახელის – „ვაჟას” გამო კი არ უნათესავებენ დიდ ვაჟა-ფშაველას, არამედ ერთნაირი სულიერი და პოეტური სამყაროს-თვის. ვაჟა-ფშაველა, ლუკა რაზიკაშვილად რომ „დარჩენილიყო,” მაშინ აკადემიკოსი შალვა მჭედლიშვილი თავის მონაცრაფიაში: „ტრადიციულისა და ნოვატორულის გაგებისათვის ვაჟა ეგრისელის შემოქმედებაში,” ასე დაწერდა: „ვაჟა ეგრისელი სახის მეტყველებაში ყველაზე მეტად ენათესავება მეტაფორის გვირგვინოვან მეფეს – ლუკა რაზიკაშვილს, ბრწყინვალე პოე-



ტებს – გრიგოლ ორბელიანს, გიორგი ლეონიძეს და
რუს პოეტ – სერგეი ესენინს..."

ჯულიეტა ახვლედიანი: (მუც. მუშაკი) „... ვაჟა ეგრი-
სელი უდიდესი პოეტური ნიჭით დაჯილდოებული შე-
მოქმედია..."

შალვა ამინაშვილი – მწერალი: „... ვაჟა ეგრისე-
ლის უნატიფესი და უმშვენიერესი კოლხური ფსალმუ-
ნები” მართლაც ლოცვასავით იკითხება... უიშვიათესი
და ულამაზესი მეტაფორები გვხიბლავს და ლექსების
დაზეპირების სურვილს გვკარნახობენ..."

მერი ბადრიაშვილი – პოეტი, ფლოლოგიურ მეცნი-
ერებათა ღოქტორი: „... ვაჟა ეგრისელის ფენომენი
შორს სცილდება ეროვნული არსის ჩარჩოებს და
მსოფლიო მასშტაბებს იძენს. მის პოეტურ შემოქმედე-
ბას განუმეორებელ ხიბლს ანიჭებს ვარსკვლავებივით
მოკიათე მეტაფორები, რომლებიც აგაროზივით იცა-
ვენ ვაჟა ეგრისელის პოეზიის შეუალობას... ასე ქმნის
ჩვენი ეროვნული ყოფისა და ხასიათის შარავანდედიან
სურათს ვაჟა ეგრისელი – სახეობრივი ხატების ეს გა-
საოცარი მეუფე..."

ედვარდ ბალაშოვი: (რუსეთი) პოეტი: „... ვაჟა ეგრი-
სელის ლირიკული ქმნილებები ეფუძნება კაცობრიობის
სულიერ მონაპოვარს და სრულიად ახალი სიტყვაა მე-
ტაფორულ აზროვნებაში, არა მარტო რუსულ და ეგრო-
კულ, არამედ, საეროდ მსოფლიო პოეზიაში..." 1985წ.



ევგენი ბარათაშვილი – აკადემიკოსი: „... ვაჟა ეგრი-სელის პოეტური ქმნილებების სიღრმისეული წვდომი-სათვის, დიდი კი არა, დიდზე დიდი დროა საჭირო...”

ზაზა ბაწელაშვილი – საქართველოს სახალხო არტისტი, მწერალი: „.... წარდვნა,” რომელიც ვაჟა ეგრისელის ლექსების მერეხივით მოვარდნამ გამოიწვია ქართულ პოეზიაში, არა წამლეკავი, არამედ ჩვენი ეროვნული სულის აღტყორცნაა ლვოიური სიმაღლეებისაკენ და მირონივით ეცხება საქართველოს მრავალგზის ნაიარევ გულს... ასეთი „წარდვნა” ნუ მოუშალოს დღერთმა ქართულ პოეზიას...”

ვერა ბეგუნი: (უკრაინა) პოლიგრაფისტი. „... ვაჟა ეგრისელის უზარმაზარი წიგნით – „იქმენ ნათელი”-თ, საქართველომ და უკრაინამ კი არა, ლიტერატურულმა მსოფლიომ უნდა იამაყოს ”

თამარ გაბოძე – პოეტი: „... ვაჟა ეგრისელი თავისი უბრწყინვალესი „კოლხური ფსალმუნებით” არა მარტო კოლხეთის, არამედ ერთიანი საქართველოს მაფშალია...”

გივი გავარდაშვილი – აკადემიკოსი: „... ეგრისელის მაგვარი სახისმეტყველება, არც მანმადე იცოდა და არც ახლა იცის მრავალსაუკნოვანმა ქართულმა პოეზიამ...”

ომარ ცხვარაძე – აკადემიკოსი: „... ვაჟა ეგრისელის



ბიბლიური „კოლხური ფსალმუნები“ უდიდეს ცოდნას-თან და ღვთაებრივ ნიჭთანაა წილნაყარი...“

ზუმრად გოდერძიშვილი – პოეტი: „... საოცრად ხილმსხმოიარე ტოტივით ჩამოქანდება ხოლმე ეგრისე-ლის მცირე ზომის ლექსებიდან შედარებითა და მხატ-ვრული სახეებით დახუნდული სტრიქონები...“

ტარიელ მუმლაძე – აკადემიკოსი: „... ვაჟა ეგრისე-ლი – ქართული პოეზიის შავლებოა...“

ნათელა გოხელაშვილი – მწერალი: „... ვაჟა ეგრი-სელი ოცდამეერთე საუკუნეში ანტიკური ხანის კოლ-ხეთიდან მოვიდა. სამყაროს აიეტის თვალით გადახე-და, ქართულ პოეზიას მედეასეული გრძნეული სული შთაბერა და უკვდავების გზას გაუყენა...“

ევგენი გუგულაშვილი – პროფესორი: „... ეგრისე-ლის ვიზუალური ხედვა ერთ ფოგუსში ამწყვდევს სხვადასხვა პლანეტარულ განზომილებებს, მითოლო-გიას, ბიბლიას, ისტორიას და ჯადოსნური ჯოხის (სტრიქონის) ერთი დაქნევით აცოცხლებს მათ...“

თეიმურაზ გუგეშაშვილი – აკადემიკოსი: „... ძნელი დასაჯერებელია, რომ ვაჟა ეგრისელის ზოგიერთი ლექსი, მეოცე საუკუნეშია შექმნილი, ვინაიდან მის მუ-ტაფიზიკურ აზროვნებას, მომავალი საუკუნეების გა-მაბრუებელი სურნელი დაჰკრავს...“

ვლადიმერ გულუა – პროფესორი; „... ვაჟა ეგრისე-



ლი, როგორც პოეტი, მსოფლიოში (იაპონია, ინდოეთი, ებანეთი, ჩინეთი, ბულგარეთი, რუსეთი და ა. შ.) უფრო ცნობილია, ვიდრე საქართველოში!“

გასილ გურგენიძე – მხატვარი, პროფესორი: „... ვაჟა ეგრისელის ლექსები – სამყაროსათვის აქამდის უცნობი ფერებითაა „დახატული...”

პეტრე გრიგორიანი – მუსიკოსი: „... მუსიკაში – მოცარტია ჩემი კუმირი... პოეზიაში – ვაჟა ეგრისელის ახალ სიომონაბერმა პოეტურმა აზროვნებამ დამატყვევა...”

მაია დარჩია – ფილოლოგი, ინგლისური ენის სპეციალისტი: „... სალვადორ დალის ფერწერა და ვაჟა ეგრისელის პოეზია, წყლის წვეთებივით ჰგავნან ერთმანეთს...”

გრიგოლ დევდარიანი (იურისტი, პოეტი) „... ვაჟა ეგრისელის პოეზია – არა მხოლოდ ქართული, მსოფლიო სივრცეა...”

ბუდუ დეკანონიძე – პროფესორი: „... ეგრისელის პოეზია გვაჯადოებს აქამდე უცნობი ოქმებით, მოტივებით, სახეებით, თუმცა, არც ისე იოლია მათ არსები წვდომა...”

გივი დემეტრაძე – აკადემიკოსი: „... გერმანელმა არქეოლოგმა ჰაინრიხ შლიმანმა მეცხრამეტე საუკუნეში აღმოაჩინა ტროა. მე, როგორც გეოლოგმა, მეოცეში



აღმოვაჩინე – „ქართული სიტყვაკაზმული მწერლობის ხელთუქმნელ ტაძარში დადგმული ფასდაუდებელი განძი – „იქმენ ნათელი!..”

ოთარ დემეტრაშვილი – მწერალი: „... ვაჟა ეგრისელის ლექსები ყურადღებას იქცევენ ფორმის სიმცირით, აზრის გლობალურობით და ლრმა ფილოსოფიური გააზრებით...”

გალერიან ზუხბაია – აკადემიკოსი: „... ჩემთვის, როგორც გეოლოგისათვის ვაჟა ეგრისელის ძვირფასი ქვებივით ელვარე პოეზია დიდი აღმოჩენა იყო...”

ტატა-დიოსეკურელი – მწერალი: „... მხოლოდ ვაჟა ეგრისელს შეეძლო დაეწერა უთვალავი (50 000) ლექსი, აქედან უმრავლესი ბუნებაზე, რადგან ბუნება მისი უშრები სულიერი წყაროა. ვაჟა-ფშაველას შემდეგ, საქართველოს რომ არ მოვლენოდა ვაჟა ეგრისელი, ასე მგონია ქართული პოეზიას არ ექნებოდა ის სილიადე...”

მურთაზ ჯანჯღავა – ისტორიკოსი, ფაზისის საურო აკადემიის ნამდვილი წავრი: „... ვაჟა ეგრისელი ქართული პოეზიის ქურუმია...”

გახტანგ გაჩეჩილაძე – ოფთალმოლოგი, პროფესორი; „... ვაჟა ეგრისელი დიდი პოეტი და კაცობის ეტალონია...”

თედო დუნდუა – პროფესორი: „... ვაჟა ეგრისელი ეპიკურად მოაზროვნე პოეტია. ამდენად, ქართული (და



არა მარტო ქართული) პრეისტორიული თუ ისტორიული სახეები: აიეტი, მედეა, ფარნავაზი, ვახტანგ გორგასალი, მეფე გუბაზი, წათე, დავით აღმაშენებელი, თამარ მეფე, ცოტნე დადიანი და სხვ. მის დიდ პოეზიაში გრანდოზულადაა გამოკვეთილი..."

გიორგი ერაძე – ლიტერატორი: „... ისეთი პოეტები, როგორიცაა ჰომეროსი, რუსთაველი, დანტე, გალაკტიონი, დროის საზომს არ ემორჩილებიან, რადგან ისინი ყოველგვარ რანგზე და ხარისხზე მაღლა დგანან. ასეა ვაჟა ეგრისელიც, ვინაიდან მასში სამყაროს მოდელია განსხვეულებული..."

ნათელა ვასაძე – საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი: „...ვაჟა ეგრისელის დიდი პოეზია თხემით-ტერფამდე ეროვნულია და... „წვეთი სისხლი არ არის მასში არა ქართული..."

ბორის ვიქტოროვი: (მოლდავეთი), პოეტი. „... ნიკო ფიროსმანის ნახატებმა და ვაჟა ეგრისელის ლექსებმა შემაყვარეს ჩემთვის უცნობი, ეგზომ სანატრელი საქართველო..."

სიმონ ზაქარაია – პოეტი: „... ვაჟა ეგრისელის პოეზია – ეტნის ვულკანია, რომელიც უძველეს კოლხურ მიწაზეა ამოფრქვეული..."

ალმანზორ თავაძე – პოეტი: „... უაღრესად ვირტუოზი პოეტია ვაჟა ეგრისელი, რომელიც ხან წარსული-



დან მოდის და ხან მომავლიდან გვეწვევა..."

შოთა თეთვაძე – აკადემიკოსი: „... ვაჟა ეგრისელი „ლექსის მეწყერად” კი არა, ლექსის წარღვნად მოვჭლინა სამყაროს...”

შოთა თევდორაძე – ქურნალისტი: „... ვაჟა ეგრისელის „იქმენ ნათელი” – წიგნი გიგანტია, რომელშიც „ჯერ არნახული” პოეზია ბობოქორბეს...”

ნინო თოდეუა – აფხაზეთის ა/რ ლტოლვილთა და განსახლების მინისტრი: „... ვინც მსოფლიო პოეზიის პიქს მიაღწია და იქიდან ქართული სიამაყიოთ გადმოჰყურებს, ერთ-ერთი მათგანი უძველესი კოლხეთის ბრწყინვალე წარმომადგენელი პოეტი ვაჟა ეგრისელია...”

სულხან იაშვილი – აკადემიკოსი: „... კავკასიონზე და ამირანზე მიძღვნილი ვაჟა ეგრისელის ციური ცეცხლით მსუნთქავი ლექსები, ცოცხალი დასტურია ლუგანიდის სინამდვილისა...”

ნარიმან იაშალაშვილი (ნარო კოლხელი) მწერალი.

„... ვაჟა ეგრისელის პოეზიის უსამანო სიგრცეში რომ მოხვდე, ისე გაგიტაცებს, ვითარ ამურს ქერუბიმი, ზეცაში მოკიაფე ვარსვლავთა შორის. მისი პოეზია ღვთაებრივია, ხოლო შთაგონების უძირო ზღვიდან ამოღებული სტრიქონები ასე გგონია – ფერწერული ტილოებია, რომლებიც წლების განმავლობაში შენ



გვერდით იხატებოდა და შენ არ იცოდი...”

გიორგი იორდანაშვილი – პროფესორის: „... ვაჟა ეგრისელის პოზის უაღრესად ორიგინალური სტილი, ლირიკის თავისებურება ჯერჯერობით უცხო და უჩვეულოა თანამედროვე მკითხველისათვის...”

მარიკა კალანდაძე – პროფესორი: „... ვაჟა ეგრისელის ლექსების უზეულო არქიტექტონიკა და რთული ხატოვანება, ყველასათვის ადგილი ხელმისაწვდომი როდია. შეიძლება ეს იყოს მიზეზი, ჯერჯერობით მისი დიდ პოეტად არ აღიარების...”

ბახტიან კანაპიანოვი: (უზბეკეთი) პოეტი. „... ვაჟა ეგრისელის კოლხ წინაპრეპზე დაწერილ; ბრწყინვალე „კოლხურმა ფსალმუნებმა”, მეც, ჩემი შორეული წინაპრები – საგები გამაცოცხლებინა...”

გივი ქილასონია – პროფესორი, ფიზიკის მეცნერებათა დოქტორი: „... მე, როგორც მსოფლიო პოეზიის თაუგანისმცემელ პიროვნებას, მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს, მრავალგზის მითქვამს და კვლავ ვიმეორებ: ამჟამად დედამიწაზე არ დადის ვაჟა ეგრისელზე დიდი პოეტი...”

გიაჩისლავ კუპრიანოვი: (რუსეთი) პოეტი. „... პეტაქების ხატვაში, ვაჟა ეგრისელს მხოლოდ და მხოლოდ ნიკოლოზ რერიხს თუ შევადარებთ. პოეტის „კავკასიონი გაწოლილა ბნელში სფსინქსივით და ყინვის დამ-



ზრალ ტორებს ილოკავს!” ამ „ნახატს” რერიხის „ჰიმალაის მთების პეიზაჟები თუ შეედრება მხოლოდ...”

ეს უნდა წავიდეს წიგნის უბან გარეკანზე

ნათელა მამარდაშვილი – პოეტი: „...პონტოს ნაპორებზე გაზრდილი პოეტი – ვაჟა ეგრისელი პოსეიდონივით ზღვათა მეუფეა...”

გალერიან მამუკელაშვილი – მწერალი: „... ვაჟა ეგრისელის შემოქმედება – გაზაფხულის ენგურსა პგავს – აზვირთებულსა და ახმიანებულს...”

რობერტ მელქაძე – აკადემიკოსი: „... ვაჟა ეგრისულის წიგნი – „იქმენ ნათელი!“ ხეოფსის პირამიდაა, ეგვიპტიდან საქართველოში „გადმოსახლებული...”

ელგუჯა მერაბიშვილი – მწერალი: „... ვარსკვლავიერი შუქითაა გაჩირალდნებული ვაჟა ეგრისელის უზარმაზარი შემოქმედება...”

ფრანსის მენდესი – საფრანგეთი, პოეტი: „... ვაჟა ეგრისელის ლექსმა „შაშვის სიკვდილი,” სულის სიმშვიდე წამართვა. ამ ლექსმა ალფრედ დე ვინის „მგლის სიკვდილი” გამახსენა. ორმა პოეტმა, ერთმა შაშვის, ხოლო მეორემ მგლის თვალებიდან ამოიკითხა ადამიანთა სივერაგე და უღმერთობა...”

ციალა მესხია – აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი: „... ვაჟა ეგრისელი ქართული პოე-



ტური გენიის თავისებური და ორიგინალური გამოვლინებაა... იგი ერთი ცოცხალი სულია რომანტიკული საქართველოსი..."

შოთა მისაბიშვილი – აფხაზეთისა ა/რ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი: „...არაერთი აკადემიის აკადემიკოსმა, პოეტური სიტყვის დიდოსტატმა ვაჟა ეგრისელმა, რუსთაველის, გურამიშვილის, ბარათაშვილის, აკაკის, ვაჟას და გალაკტიონის გენიოთ შექმნილი პოეტური წალკოტი, საკუთარი ნიჭით გამოყვანილი სურნელოვანი ყვავილებით დაამშვენა და თავისი უბადდო ლირიკაში, როგორც მშობელი ერის, ისე კაცობრიობის არსებითად ყველა ძირითად სატკივარს და საზრუნავს უპოვა ადგილი..."

ესეც უნდა წავიდეს წიგნის უკან გარეკანზე

ოთარ მიქიაშვილი – თსუ სოხუმის ფილიალის ქართული ენის კათედრის გამგე აკადემიკოსი: „... მხატვრული აზროვნების მარგალიტები, ვაჟა ეგრისელის პოეზიას რომ ამშვენებენ, რამდენიმე თანამდროვე პოეტის შემოქმედება ეყოფოდა..."

ტიტე მოსია – პროფესორი, პოეტი: „... ვაჟა ეგრისელი ქართულ ბიბლიაზე, დავით წინასწარმეტყველის ფსალმუნებზე, ქართულ პიმონგრაფიაზე აღზდილი შემოქმედია. ვაჟა ეგრისელის ტროპული მეტყველებიდან სწორუპოვარია მეტაფორული სტილი, შეიძლება ითქვას, მისი წიგნები მეტაფორებით დანაღმულია. გაუზ-



ვიადებლად შეიძლება შევნიშნოთ, რომ რუსთაველის, ვაჟა-ფშაველას და გალაკტიონ ტაბიძის შემდეგ, საქართველოს არ პყოლია უფრო დიდი მეტაფორულებოვანი პოეტი, ვიდრე ვაჟა ეგრისელი. უფრო გასაპვირი ის არის, რომ მის პოეზიაში არსად შეიმჩნევა შოთას, ვაჟას და გალაკტიონის მეტაფორიკის კვალი, იმდენად წავიდა იგი დამოუკიდებელი გზით...”

ელგუჯა ლებანიძე – მწერალი: „...ვაჟა ეგრისელი მაგიური „კოლხური ფსალმუნების” მესაიდუმლე პოეტია...”

გრიგოლ შარია – აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის თანაშემწევი: „...მითოურ კოლხეთს სჭირდებოდა თავისი ორფეოსი და განგებამ, ვაჟა ეგრისელის სახით კიდევაც მოუკლინა...”

ეკატერინე გოგიაშვილი – ფილოლოგიის დოქტორი, პროფესორი, საქართველოს მწერალთა, მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა საერთაშორისო აადემია „ქალდეა-საქართველოს“ აკადემიკოსი – ...ბიბლიური ნათლის უსასრულობიდან, მითოსიდან, მისტიურების უფსევრო სიდრმიდან, კაცობრიული ისტორიის ხსოვნიდან და ფიქრმიუწდომელი სიშორის სიშორიდან იბადება ვაჟა ეგრისელის ლეგენდებითა და მითებით დახუნძლული პოეზია და სამყაროს უსამანო სულს ამაღლების კოსმოსამდე და ლოცვად აღავლენს დმერთამდე...”



* * *

ჩამოიარა ქარმა ზღვისკარად
და ღელვის ცეცხლი
პვლავ გააჩალა.
ერთმა ტალღამ კი, როგორც ყაჩალმა,
მსარზე მოიგდო მოქათქათე
ნაბადი ქაფის
და მიაშურა შორეულ ნაპირს.

1962

ლამა პოლიტიკი

ზეიმობს ურიცხვი –

მურიცხი,

სამყაროს სხვა ფერი ედება.

ჩანს წყალობს უფალი კეთილი.

ცა –

თითქოს ტბა არის გედების

და...

მთვარე მიცურავს გედიგით.

1968



ზეთაცა და დარჩელიც

პონტო,
სანაპიროზე,
მზეს, სულ დროშად კიდებდა...
აი, ახლაც მისტირის –
სეთაცა და დარჩელიც:
კოლხეთის ძველ დიდებას,
შოორ წარსულში დარჩენილს.

1963



რთველი განხოზი

პირმოჭედილი ოქროთი –
ამიგსე შავი ქარასხი,^{*}
შენი „მანავის მწვანეთი“.
პირთამდე ერთიც დაასხი,
დავლიო და...
აჰა,
წავედი.

1988

* ქარასხი – ყანწი, ჯიხვი.



საქართველო – 1992-1993

შავი ზღვა ისევ გადადის ნაპირს,
რადგან დედათა ცრემლები
ერთვის,
(არავინ იცის როგორ მოიქცება!)
და ლამისაა ცა –
ჩამოიქცეს,
ამ დროს რას ნიშნავს
დუმილი ლმერთის?!

1993



ორმოცხა მეტი ფესტივალი

ჩემი ფიქრები ეალერსება

დღეს – მზის შუბოსანს

და თეთრ დამეს –

მთვარის წალდიანს,

რომ დასტრიალებს გოჯის ციხეს,

შეეფსა და ფოცხოს.

ორმოცხე მეტი წელიწადია,

რაც მე.

კოლხეთის წარსულით ვცოცხლობ.

1981



* * *

ადამი ქეო,
უკდავების სამოსი გმოსავს,
და.... მაგრამ,
მაინც,
თუ არ გწყალობს მაღალი ღმერთი,
ფასი აქვს ერთი —
წასვლას და მოსვლას.

1982



რატომ?!

ბორცვი თოვლის ქუდ-ფაფახით,
ჩენეთიდან საყაჩაღოდ
გადმოპარულ –
მოჩანს ლეკად.
ასე ჩემო! ამ „ცუდ ლექსებს“,
უნდა მეტი ტვინის ჭყლეტა,
რატომ?!
გეტყვით ჰერმან ჰესე.*

1969

* ჰერმან ჰესე – გერმანელი მწერალი ნობელის პრემიის ლაურეატი.



* * *

ცამ მთვარის წარბი
მაღლა აზიდა
და ვარსკვლავებით თვალი
ევსება...
ზღვაშ აღელვება უცებ ისურვა.
და ახლა ნაპირს
რომ კოცნის და ეალერსება,
ტალღა კი არა,
არის ზღვის სული.

1970



ტრიადა¹

ჭოროხი,
ენგური,
ხობოხი,
ვით ტიგროსი, ევფრატი,
ნილოსი –
თავშესაყარი ოაზისთა.

და... მოკრიახე ქოლხეთის წარსული,
მსურს ჩაგსვა მომავლის
ლამაზ ოგვაჯეში,²
რომ იბარტყოს ლეგენდებმა
ფაზისთან.

1969

¹ ტრიადა (ბერძ.) – სამება.

² ოგვაჯე (მეგრ.) – საბუდარი.



* * *

ცად მიპქრის წლები სინათლის
და ლოცვად ცვივა
ფიფქები,
ლიაა უფლის კარი.
სულ მაღე ერთად იქნება –
ცოცხალიცა და მკვდარიც.

1992



* * *

„ხვალემ იზრუნოს ხვალისა“.

ხალხური.

მუდამ დღეის-დღით ცხოვრობდი,
რადგან იცოდი,
ირგვლივ ბევრი ფანტომებია.*
და შხამიც მიტომ დალიე.
ქვეყნად არასდროს არ გნდომებია
ეოფნა,
შენ მედღესხვალიედ.

2006

* ფანტომი (ფრანგ.) – ფანტასტიკური მოვლენა, მოწვევა.



მშვიდის ლიტანია

მთიები, ვითარცა მლოცველი,
მიმწუხრის სიჩუმეს ანთებენ...
საყდარში მიიღინდეს უკვე მრევლი,
უფლის სიშორეს ტირიან
სანთლები,
საშანდლეს ევსება
უპე ცრემლით.

1976



კოლეთა მიმართა

ტევა არ იყო მიწაზე,
ნახა ცამ,
კოპი შეჰყარა;
მერე იმდენი იწვიმა,
მერე იმდენი ითოვა,
სანამდის კოლხთა ქვეყანა,
არ დაშალ-დაათითოვა.

1964



დაღამება

დღემ პვლავ მიიხურა კარი
და ცა ღრუბლის თუთუნს
ადევს
მურიცხს,¹ როგორც ნორცხვას.²
მოაბოლებს დამე მთვარეს,
ყმაწვილივით მორცხვად.

1964

¹ მურიცხი (მეგრ.) – ვარსკვლავი.

² ნორცხვა (მეგრ.) ნაკვერცხალი.



* * *

აქ არყოფნის ფიქრით დამზრალ,
ყოფნის ცეცხლზე ხელებს
ვითბობთ,
განშორების გვდევს ქარები –
და... გავრბივართ იქით,
თითქოს,
ჩვენ, სიკვდილი გვეჩქარება.

2007



პახეთი – 1992-1993

ალაზანი და იორი,
მთებს უკავიათ მათრახად,
და ვითარც ტყვებს თათარნი,
ზვირთებს კვლავ ერეკებიან...
ჩემი ლამაზი მამული,
ასე, ვინ გამიპარტახა?!

1993



* * *

ელვად მედინი წამი,
სანამ სინათლით სავსეს,
გატეხდეს მთვარის ქილას,
მანამ,
შენი მზე დამემ,
იყივლოს, ვითარც დილაძ.


2001



* * *

ვეფიცხებით მზის ბუხარს,
მაგრამ ცრემლს
ვეღარ აშრობს!
პასუხს მიწა არ გვაძლევს!
მიწაა დედის საშო,
ბოლოს,
იქ უნდა ჩავძვრეთ

2007



* * *

შავი ღრუბლების ყაბალახებით

მოქმდი,

შორიდან პგვანან ფირალებს.

ელვამ და მეხმა სივრცეები უცებ

მორწყეს ცის.

და ქარი სადღაც,

შემოდგომის ხეებს

მოწყვეტილ

ყვავთა შავფოთლებს მიაფრიალებს.

1979



გაზაფხულზე

გაზაფხულს,
ათასგზის ნაფერებს,
ათასმეტოდედ ვეფერები:
— ბაღებს —
ათასფერად რომ დებავს.
რაში აზავებს ამ ფერებს,
საიდან მოაქვს ეს ფერები?!

1969



ქართული მიწა

აი, ახლა ცხრიდან,
ერთი ძმა და
ერთი და მყავს,
და იმათ სულებს ვფიცავ,
რომ მე ქართული მიწა,
ვითარცა აკვნის ბაგშვი,
ატატებული დამყავს.

1991



* * *

ჩაისეირნეს წვიმის ეტლებით –
შემოდგომის ცივმა ქარებმა,
და აი, ახლა ვარსკვლავებით
ცა იტოტება.
მიძინებული ტყის მწუხარება –
გამოაღვიძეს ფუდორში
მსხდარმა ჭოტებმა.

1977



გაზა

ვითარცა მნათე საყდარს,
თავს ვაფარებდი მუდამ.

შენეულ ფიქრთა

ოროს.*

შენი სახელი მშერდა,
უფლის სწორო და

ტოლო.

1965

* ორო (მეგრ.) ჩრდილო.



გათხდა

ქათქათა ღრუბლის ბალიშებზე,
რომ ყრია —

ვარსკვლავთა თავებია,
ცასაც მოწყვეტია ყინწი.

მთები —
დაკუნთული მკლავებია,
ზღვები —
თვალებია მიწის.

1968



0სეზ პოლევითი

შოორეული წარსულის ქარები,
შავ ზვირთებს,
ვით ათასწლეულებს,
ვაზისისკენ მოდენიან:
პოლხეთი –
უფლისაგან პირველქმნილი,
სამყაროს მოდელია.

1963



* * *

ცის ლაქვარდს რომ მიეფარა,
მოქათქათე გედისფერად,
ფთილა არის თუ ქორია?!
შენისთანა ბედ-იღბალი,
უფრო სწორად ბედისწერა,
ქვეყნად არავის პქონია.

2004



* * *

ვითარცა წინათ,
ახლაც მოკვდავნი,
ცაში ოცნების კოშკებს
აგებენ.
თუმცა მიწა არაა,
ცაა უფსკრული,
სადაც ღმერთების
სარკოფაგები –
გარსკვლავებითაა –
დალურსმული.

1978



სული

(ვარიანტი)

მოწმენდილ ცაზე რომ გაიელვებს,
ელვა კი არა,
იგი სულია,
არ აქაურის,
ვიდაც მიღმურის.
ყოფნა-არყოფნის ცით შენიდბულის,
მას არც საწყისი,
არც სასრული აქვს.

1986



შენი ლექსები

არც კი გახსოვს,
ცოფმორეულ დუნიაზე,
მოსისხლე მტერიც თუ
გძულებია,
სიყვარულის და სიხარულის
ცრემლით გალეშილს.
შენი ლექსები –
მომლოდინე კუნძულებაი,
მიმოფანტული –
პოეზიის ოკეანეში.

2004



* * *

დამეები კი არა,
დღეები გველიან,
შოორეული გზები რომ
გათელეს...
სიცოცხლე –
ბნელია,
სიკვდილი – ნათელი.

2005



ტატაში

ცა –

მზის დროშას მიმწუხერამდე

ვარდისფერად აფრიალებს...

და მაცხოვრის ნატვრაში,

ჩუმად,

მთვარის ცალრქიანი,

მოდის ღამე – ტატაში.*

1994

* ტატაში – შავი ხარი (საბა).



ვით ანას და იოგიმას

გაჩენიდან ძე ადამის,
ათასფერად მონარნარეს,
შეციცინებს, როგორც იმედს:
დღისით – მზეს და
დამით – მოვარეს,
ვით ანას¹ და იოგიმეს.²

1992

^{1,2} – ღვთისმსობლის მარიამის მშობლები.



* * *

წარსულიდან კვლავ მოისმის

შოორეული ხმა მატიანის:


— წკვარამი აღარ ნათლდება!

დრო!

მკვდრებსაც რომ გვატიალებს,
ნეტავი,

რას გვემრათლება?!

1979



* * *

მწუხარმა ფრთები გაშალა –
დამის მიმოფინველი,
თუმც არც ხვნაა,
არც მკაა.

მაინც ტყიდან ფრინველის
ოსმის: კაა-კაა!
კაა-კაა!

1962



დღეგანდელი საქართველო

არც ხეთი ჩანს,
არც მიღია...
ის კი ბრწყინავს და
ნათელობს
და უამს ვერ მოუხელოა.
დღეგანდელი საქართველო –
უძველესი კოლხეთია.

1963



ვით ანტერისი

როდესაც ცაზე ელგა გადიობენს –
ანგელოზივით შიშველფეხება,
შეგეშინდება მეორედ მოსვლის.

და...

თუ ხშირ-ხშირად
მიწას ეხები,
ფრენით დაღლილი,
ძალას იკრებ,
ვით ანტერისი.

1966



ალზია შავი ზღვის პირას

გაგძახი სივრცეს....
 სადღაც ექო მას იმეორებს,
 ხსოვნის ზღვიდან კი
 კვლავ ამოდის რამზეს მეორე,
 ვინაც სიკვდილი გააიაფა,
 მაგრამ კოლხეთი მას გადაურჩა,
 აყვავებული ზღვისპირ ალუჩა,
 ო, როგორ მოპგავს –
 რომაელთა გაშლილ
 იალქანს.

1969



არ ჩას გაგიღონი

ცა – ოპეანეა

და ფიქრთა კატარდით,
უამი უსამანო,
სადღაც მიმაქანებს...
არ ჩანს ბაბილონი და არც
ქანაანი,
მხოლოდ კოლხეთს შვენის
მოვარის იალქანი.

1972



* * *

ვითარცა ადრე სოფელი,
კვლავ მოღავდავეა.
და მთვარე ყურს მოპგავს
გატეხილ ხელადის.
ახლა კი დამეა,
მის გარეთ დღე დადის.

1968



ზურიფებს და ელამელებს

ცას და მიწას ედებიან,
თუმცა ათასწლეულები,
ქვებს და რისხვას დაუშენენ,
(დრო მათ ლტოლვას
გერ ანელებს).
პროტოხეთებს¹ და მუშენებს,²
ხურტებს³ და
ელამელებს.⁴

1972

^{1,2,3,4} – ქართველთა შორეული წინაპრები.



* * *

ღამით სავსე ცის ჭურჭელი,

მოვარითაა დაცობილი.

დილა,

მზეს არ უდებს კრებს.

სიცოცხლესთან ვარ ცოდვილი,

სანამ სიკვდილს

დავატარებ.

2004



* * *

შორით გველამაზება
სარფიცა და
გონიოც.
და ზოგ „კეთილ“ მეზობელს,
მიწა მეგრელ-ლაზების
თავიანთი პგონია.

1994



ჩემს ფინაკარ იგერებს

ხუთი ათასწლეულის
შემდეგ,
რაც მე ქოლხეოზე
და პონტოზე ვიმღერე,
ნეტავს გააგებინათ
ჩემს წინაპარ იბერებს.*

1969

* იბერები – მეგრელ-ქანები.



* * *

რადგან ხატებად მოხველ
ყოვლის შემქმნელი
ღმერთის,
აღარ გიმტყუნოს გეშმა.
ვინც არ აკეთებს კეთილს,
თავის გზით მიჰყავს ეშმაკს.

2003



სიონები

თაგს მაღლა სწევს თითქოს და
წმინდა გიორგის შუბით

განეგმიროს ურჩხული.

ისმის დამწვარი სანთლის –

ცრემლნარევი ჩურჩული:

– ქვეყნად ერთი ფასი აქვს

დილას და საღამოსაც.

და... უფალო!

მზის ჩასვლა,

კით მოჰკვავს მხის ამოსვლას.

2001



რადგანაც მოხველ –

არ ჭვრეტენ,
მაგრამ ნათქვამი ბრძენის
შორიდან...
და ხან ახლოდან ესმით –
დაკას და ძოკოს,
კიშის და კოტეს:
ასეა ბაბა,
ბუნების წესი – რადგანაც გაჩნდი,
პო, უნდა მოკვდე!

2005



მთვარე ახშრაშს სჩანურ ქუდად

ცა გაცვია ახალუხებად,
მთვარე გხურავს სვანურ
ქუდად,
ოქროს ქამრად ელვის ირტყამ.
სამყაროა შენი სული,
ეს იმიტომ ქართულ სიტყვას,
დალა შესწევს სეისმური.*

1972

* სეისმური (მეგრ.) მიწისძვრა.



* * *

ცვივა სიცოცხლის მარცვლები
და...
კალოს ლეწენ ბავშვების:
ბუდა თურქები,
აბასები,
ჯალალედინები...
და... დედა მტკვარი არასოდეს
აღარ დაშრება,
რადგანაც იგი,
საქართველოს წარსულიდან
მოედინება.

1976



* * *

სადღაც დუმილში...

ათასეულ წელთა გადაღმა,

მზით შემოსილი ცხოვრობს

კოლხეთი,

რომელსაც ჩვენსკენ უნდა მოხედვა,

მაგრამ...

მის სახელს ადევს ყადაღა!!!

1967



* * *

თვალ-მარგალიტით არის პირთამდე

ადსაგსე ზეცის ლურჯი

სასახლე.

ლამეს თვალებს სჭრის ბრწყინვა

ოქროთა


და იფანტება ბნელში ელდებად.

და მილიარდი წელი გრძელდება -

მზისა და მთვარის ტკბილი

ცოლ-ქმრობა.

1977



ნეატური

დელგის ცით გადახურული,
მისია ზღვათა
სამრეცლო,
ზვირთების ზარებს არისხებს...
სურს დედამიწა წალეპოს,
უხმობს ქარებს და
ქარიშხლებს.

1969



ალექს

* * *

გადაუდექი საუკუნეებს –
დავიწყებაში წვეულებს
და დამის გზებით მიმავალთ.
ძვრა უყავ ათასწლეულებს,
რომლებმაც კოლხთა
წარსული,
ცხრაკლიტულებსი მიმალა.

1971



* * *

მიწაა ჩვენი მარადისი თავშესაფარი,
ის სპეტაკია პირველ
თოვლივით.

და შენ,

ვით ციურ მგოსანს შეგფერის:
ცა ნაბიჯ-ნაბიჯ მილიონჯერ
გაქვს შემოვლილი,
მაგრამ მიწის გულს,
ვით ეპუთვნის
ვერ მოეფერვ.

2005



* * *

იმ მარადიულ სოფელში,
ალბათ არიან გლ-ლაღად,
რადგან ვით საქმე
საშური,
ჩვენ ცოცხლებს,
გკვდრებთან,
სულ რაღაც,
მტკაველი მიწა გგაშორებს.


2003



* * *

პეტატეს თეთრი ტაძარი,
არესის ჭალა —
საწმისით
და აიეტის სასახლეც ,
დიდი წარსლიდან კოლხეთის
აწმყოში გადმოვასახლე.

1973



* * *

ქვეყანა კოლხეთ-ქიმეთის
ქცეული პირამიდებად
და ცად ამავალ ვენახად,
ათასწლეულთა ფარდები, —
ათასჯერ მივწი-მოვწიე,
რომ მათი მზე და დიდება
თუნდაც წამითაც მენახა.

1968



* * *

დღისა და დამის ფრთების ფათქუნით,
მთვარის ნისკარტა

არწივი მოდის,
და ის დამირდვებს ცის სიმყუდროვეს.
არ მოგსულვიყავ,
არ წავიდოდი,
უნდა წავიდე, რადგანაც მოველ.

2007



* * *

მთვარე, ვით მეუდაბნოე,
დამის უდრანში ეხეტა...
მერე,
ეამს გამთენისას,
მისწინ
მოსწინ ცის თაღი,
დაბლა რომ ჩამოეხედა.

1970



ოსმალი

ხელებს უწვდიან გორის ციხეს,
თეძამს და აჩაბეფს.
და მათ ჰერიათ ქართველები,
ვითომ დაგვჩაგრეს,
რადგან აკვანი დავურწიეთ
და მოვეფერეთ.
გადაავიწყდათ ხიზებს ასაკი.
მათ არ იციან, თუ გაბრაზდა ლომი
ბებერი,
ქართვლის ცის ლაუგარდს
მოანატრებს იმათ გასაგისს.*

1994

* გასაგისი – მოდგმა, ჯიში, ტომი.

* * *

ცის ლაქვარდში დავფრინავთ,

ღობე-ყორეს ვედებით...

მერე უცებ ვდუმდებით...

არა, ჩვენ არ ვბერდებით,

ბოლოს,

ისე უბრალოდ,

ბაგშვიბაში ვბრუნდებით!

2001



პიმაჩაფილი

(ავთანდილს)

ლაფაროსთან ვზივარ ახლა,
ვითარც ქვინჯე¹ ფიქრი მნაყავს.
ასხამს წვიმა ჩაფივით...
შენ მომიკვდი...
ძმა არა მყავს,
ღამე არის ჩემი
პიმაჩაფილი.²

1992

¹ ქვინჯე (მეგრ.) – ფილთაქვა, როდინის ქვა, გურჩი.

² პიმაჩაფილი (მეგრ.) – მკვდარი ძმის მაგიერი.

* * *

ლოცვებით ამაღლებული,
აღარ არსებობს
სხვა უფრო,
ტაძარი, მზე რომ ათოვდა.
ცა არის ღმერთის საუფლო
და სამოსახლო მნათობთა.

1979



* * *

მოიარების* მოლოდინში,
მეც გვხიზლობ და
მეც ვიძინებ.

და მიგია, ვით თოქალოთ
ქაცვი შლილი.

მოსვლის დღიდან მე ერთ ვარსკვლავს
შევციცინებ,
მას ჩემს გარდა აღარ ხედავს
კაცისშვილი.

2005

* მოიარები – (ბერძ.) ბედისწერის ღმერთქალები.



* * *

გარსკვლავების ცულები კი,

სივრცეებმა კვლავ ალესეს.

ზღვა —

ღრუბლების მიაქვთ

ქორებს.

ელფა არა,

ცად არესი,*

საომრად ეტლს მიაქროლებს.

1969

* არესი (ბერძ.) ომის დმეურთი.



პოლიტიკი ზარი

აკადემიკოს ომარ ხუხუას

ღამე, ვით შავი ნაგაზი,
სანამ დრუბლების
ძონძებში,
გარსკვლავთა ლექვებს დაყრიდა,
გაიღო ცის ცხრავე კარი.
და მთვარის თეთრი
ტაძრიდან, —
მოისმა „პოლიტიკი ზარი“.

2002



რომანი და ელიონი

ვით იქნება, მცხეთასთან,
ორი ათასწლეულის
წინათ,
მტკვრის და არაგვის
წყალი არ დაელიოთ:
ქართველის პირველ ქრისტიანთ –
რომანოზს და
ელიოზს.

1973

ძრისტეს პგართი,
ელიას ხალენი

ოცზე მეტი საუკუნე,
ქრისტეს მოსვლას
კვლავ ელიან,
მცხეთაში მოსახლენი:
ქრისტეს კვართი და
ელია,
გულომისანი ხალენი.*

1982

* ხალენი – მოსახლე.



მედეას და პირმას

სამი ათასწლეულის
მერეც,
მოქმი კოლხური,
ივნისსა და კვირკვეს.*
ფეხზე მდგარი ელიან:
აიგტს და პელიასს,
მედეას დას კირკეს.

1979

* კვირკვე (მეგრ.) ივლიხი.



ପାତ୍ରକାଳୀ

ლოცულბოდა ზღვისკარად
და ღამეებს უთევდა...
ღმერთმა ლოცვა აკმარა
კოლხს,
რადგან ის უნთებდა
სანთელს,
მზის ღმერთს თაკარას.

1987



* * *

მზის ძახილი სადღაც იხმის

და ედება ფერი ლილის

ცას –

მთიების სამოთხეს.

ზღვას უჭირავს სელი კბილით,

გალე უნდა აღმოხდეს.

1997



* * *

რა ვქნა,

ცივა და მაინც,

ვეღარ მოვხურავ კარებს.


ობოლსა და სწყლად

მზირალს,

ყინვით ძვლებდამზრალ მოვარეს,

ვეღარ დაგტოვებ გარეთ.

1967



ჯაჭა

ხობის პირას წუხს ლერწამი,

მას სიმღერის ჟინი

ტანჯავს.

ცვივა მანანა და ნამი,

როგორც ნახორი

და ნამჯა.

აღარ ტოვებს კოლხეთს წამით,

დასტრიალებს –

თავის ჯაჭა.^{*}

1973

* ჯაჭა (კოლხ.) მიწათმოქმედების დმურთი.



* * *

მიწისაგან შორს...

და მზესთან ახლოს,

ვითარც ოცნება,

ერთ პატარა

გარსკვლავზე ვსახლობ.

2006



არ, ამრა, ანუა

შორეული წარსული,
სადაც კოლხთა ხმა ისმის,
ჰოი,
რა საამოა,
და სინათლე თან დააქვს:
არ-ს,¹
ამრას² და ანუას.³

1971

¹ არ – მზე (ნ. მარი. ჯ. ლომაშვილი)

² ამრა (აფხაზ.) – მზე.

³ ანუა – მზის ღვთაება კოლხურ პანთეონში.

၁၀၁

အရာဝနှုပ်တစ်မီးကွန်ဖြစ်ပါ၊
သိမ်မရအနေ ရှုံး
လျော့သာ,
မာတ မိုးကြ ဖြစ်တောင် မော်သွေး
များ, —
လွှာတေးခြုံတရာ့ သော်မြှုပ်ဖော်၊
ကြော်တော် လူ ကြော်သော်.

1965



ტარზანი და ხშირი

ჩახან – აბორიგენი,
პონტოს ზღვიდან აყარეს
 ტანჯვითა და წვალებით...
და ამიტომ მალეური,
ტაოსური,¹ ხუნძური,
 კოლხ-კავებით,
არის მთლად დახუნძლული.

1972

¹ ტაოხები – უძველესი კოლხური ტომი.

„პოლჩური ფსალმურები“ – სახადია

უპირველესად სული – ქართული,
პოეტს – ესაა,
რაც გაბადია;
მერე ლექსები რგული ედემად, –
შენი „პოლჩური ფსალმურები“ –
სახადია,
მოდგმიდან – მოდგმას სიყვარულად
გადაედება...

2001



ანდალუზიაში

ფედერიკო გარსიას –
პოეზიის დიდ კოცონს,
ისეგ ისე ვუხსედვართ,
სადღაც ანდალუზიას.
და...
ბოშები გვასმევენ –
სიყვარულს,
ვით ზუზიას.*

1987

* ზუზია – გენლი სწრაფად მომაკვდინებელი (საბა).



* * *

ხელს ახლებ და...
იქცევიან ოქროდ ქვები.
აგორებ და...
მოდის შაში,
აღარ იცი შენ იაჭე.
შენ რად გინდა მოკვდავთ
ქება,
რადგან თვითონ დმერთი გაქებს.

2006



ბიჭია ანაგურები

ასეა: წელი წელს მისდევს,
როგორც ანურმალს
ურემი,
ყოფნა არაა იოლი,
იერის ჭალაში რომ მღერის,
თქვენ არ გეგონოთ
იორი,
